

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

.. აგვისტო, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ. N10/12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ალექსანდრე ხომერიკის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ. N10/12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ალექსანდრე ხომერიკის მემორიალური დაფა.
2. მემორიალური დაფა განთავსდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხედვით.
3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ. N10/12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე  
ალექსანდრე ხომერიკის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ალექსანდრე ხომერიკი - ქართველი საოპერო მომღერალი (ტენორი). ბათუმის საოპერო თეატრის დამფუძნებელი და ბათუმში საოპერო ხელოვნების დამაარსებელი. საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში. მის მიერ შტენილი წვლილი ქალაქის კულტურულ დარგში შეუფასებელია.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, 26 მაისის ქ. N10/12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ალექსანდრე ხომერიკის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ე) პროექტის ავტორი:**

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ - დირექტორი მზეჭაბუკ სურმანიძე

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

საკრებულოს განათლების, კულტურის,  
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა  
კომისიის თავმჯდომარე:

ირაკლი პატარიძე